# ტანსაცმლის წარმოების სასიცოცხლო ციკლი და მისი გავლენა ეკონომიკაზე

ლიკა ჯიშკარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო საქმეში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი : ნიკა მეგუთნიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ჯიშკარიანი 03.07.2022

## აბსტრაქტი

ტანსაცმელი არის ისეთი პროდუქტი რომელიც თითოეულ ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, სულერთია რა მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანი ტანსაცმელს ან მოდას და დაინტერესებულია თუ არა ამ სფეროთი , თავის ცხოვრების მანძლზე ტანსაცმლის შეძენისას მილიონობით ადამიანი გაუცნობიერებლად იღებს მონაწილეობას ტანსაცმლის წარმოების ჩახლართულ ჯაჭვში.

ამ კვლევის ჩატარების მიზანია გაამახვილოს ადამიანების ყურადღება ტანსაცმლის წარმოების სასიცოცხლო ციკლზე , აღწეროს მასში შემავალი ელემენტები, და ისაუბროს თითოეული მათგანის გავლენაზე, გამოკვეთოს სიტუაცია მსოფლიოში მიმდინარე პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ , ასევე განსაზღვროს საქართველოს ბაზარი ჩატარებული კვლევის მეშვეობით, რომელიც გამოხატავს საქართველოს მაცხოვრებლების პრეფერენციებს ტანსაცმლის შეძენისას.

კვლევის მთავარი საკითხია ახდენს თუ არა გავლენას ტანსაცმლის ჩახლართული ჯაჭვი ეკონომიკაზე და მის ცალკეულ ასპექტებზე, თუ ახდენს კონკრეტულად რა დონის გავლენაზეა საუბარი, ასევე უნდა განისაზღვროს რა როლი ქონდა ტანსაცმლის ბაზარზე მსოფლიო პანდემიას, და როგორი სიტუაციაა საქართველოში.

კვლევის შედეგების მისაღწევად ჩატარდა სამაგიდო კვლევა (Desk Research) და იგი ძრითადად უკვე არსებულ კვლევებზე, წიგნებზე, რეპორტებსა და სტატისტიკურ მონაცემებზეა დაფუძვნებული. ხოლო საქართველოს ბაზრის უკეთ განსახილველად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა და გამოიკითხა საქართველოს მოსახლეობა მათი შეხედულებების გამოსაკვეთად.

კვლევაში განხილულია ტანსაცმლის მიწოდებისა და ღირებულებათა ჯაჭვები, მისი წარმოების ეტაპები, მომხმარებლების გამოვლენლი ტენდენციები და გაცემულია კვლევის კითხვებზე პასუხი. ასევე საუბარია სწრაფი მოდის შექმნაზე, აღზევებასა და მომხმარებელზე მისი გავლენის შესახებ. განხილულია მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის გავლენა ტანსაცმლის ინდუსტრიაზე.

საქართველოს რაც შეეხება, კვლევის შედეგად გამჟღავნდა, რომ ქვეყანაში ტანსაცმლის ინდუსტრია ძირითად იმპორტზეა დაფუძვნებული და აქ ტანსაცმლიის წარმოება  ნაკლებად ხდება, ასევე გამოიკვეთა რომ საქართველოს მოხმარებლები გამოირჩევიან ჭარბმოხმარებით.

კვლევის შედეგად გაირკვა რომ ტანსაცმლის მიწოდების ჯაჭვი იმაზე ჩახლართულია ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, მასში ჩართულია მრავალი ადამინი მსოფლიოს მასშტაბით და გავლენას ახდენს ადამინებზე, ცხოველებზე და გარემოზე. ასევე მიუხედავად იმისა რომ Covid 19-მა სერიოუზლი ზიანი მიაყენა ამ ინდუსტრიას, მან ძალიან მცირე დროში მოახერხა ფეხზე დადგომა ელექტრონული კომერციის მეეშვეობით და ინტენსიური განვითარბის უცვლელი ციკლი გააგრძელა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები: ტანსაცმლის წარმობა, მიწოდების ჯაჭვი, სწრაფი მოდა, ელექტრონული კომერცია.**

## Abstract

Clothing is a product that every person needs in their daily life, it's all about what importance a person attaches to clothes or fashion and whether they are interested in this field or not, during the course of their life, millions of people unknowingly take part in the tangled chain of clothing production.

The purpose of conducting this study is to focus people's attention on the life cycle of clothing production, describe the elements included in it, and talk about the impact of each of them, outline the situation in the world before and after the pandemic, as well as define the market of Georgia through the conducted research, which expresses the preferences of Georgian residents when purchasing clothes.

the main issue of the research is whether the tangled chain of clothing affects the economy and its individual aspects, and if so what level of influence are we talking about, it should also be determined what role the world pandemic had on the clothing market, and what the situation is in Georgia.

In order to achieve the results of the research, a desk research was conducted and it is mainly based on already existing studies, books, reports and statistical data. And in order to better discuss the Georgian market, a quantitative study was conducted and the population of Georgia was interviewed to outline their preferences.

The research examines clothing supply and value chains, stages of its production, identifies the priorities of consumers when making a choice, and answers to the research questions are also given. It also talks about the creation, rise and impact of fast fashion on the consumer. The impact of the current global pandemic on the clothing industry is discussed.

As for Georgia, as a result of the research, it was revealed that the clothing industry in the country is mainly based on imports, and there is little clothing production here, and it was also revealed that Georgian consumers are characterized by excessive consumption.

Research has revealed that the clothing supply chain is more complex than it seems, involving many people around the world and affecting people, animals and the environment.

Also, despite the fact that Covid 19 seriously damaged this industry, it managed to get back on its feet in a very short time with the help of e-commerce and continued the unchanged cycle of intensive development.

**Key words: apparel manufacturing, supply chain, fast fashion, e-commerce.**